ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2574649

ნომერი: AR1393758

თარიღი : 27.04.2016

გაცემის თარიღი : 12.05.2016

გაცნობის თარიღი : 12.05.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბახტრიონის ქუჩა, #16-ისა და წყალსადენის სადგურისვ შორის/ქალაქი თბილის ქუჩა ბახტრიონის #16 -ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თენგიზ ხელაია პ/ნ 01017036746
- თბილისი ლ.ასათიანის ქ. N 42

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. ბიბლუსი კოდი: 205254892

ნომენკლატურა :

- მიშენებული - დაშენებული
- სხვა ფუნქციის შენობა
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : სასაწყობე ფართი

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს მისი ოფიციალური საიტის www.tas.ge მეშვეობით წარმოდგენილი #AR1393758 განცხადებით მომართა მოქალაქე თენგიზ ხელაიამ და მოითხოვა ქ. თბილისში, ბახტრიონის ქ.N16-სა და წყალსადენის სადგურს შორის/ ქალაქი თბილის, ქუჩა ბახტრიონი, N16-ის მიმდებარედ #01.10.17.004.115 მიწის ნაკვეთზე სხვა ფუნქციის შენობაზე

უნებართვო მიშენების ლეგალიზება .

„პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის თანახმად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების თანახმად სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სამართლებრივი გარემოებები, შეისწავლა ზემოხსენებული განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მივიდა დასკვნამდე, რომ განმცხადებელ თენგიზ ხელაიას უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე შემდეგი გარემოების გამო:

აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით არსებული სალეგალიზაციოდ წარმოდგენილი ფართი არის ცხაურის ტიპის, მსუბუქი, ანაკრები ლითონის კონსტრუქციებისგან აწყობილი, საძირკვლის არმქონე და არაკაპიტალური სათავსი, რომლის ლეგალიზებაც ეწინააღმდეგება საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მოთხოვნებს.

„პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს (გარდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მოთხოვნებისა). ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შესაბამისი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზებაზე უარის თქმის შესახებ, თუ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს“ (გარდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მოთხოვნებისა). საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, შესაბამისად სამსახური ვერ მიიღებს საქართველოს კანონმდებლობის, კერძოდ საქართველოს კანონმდებლობაში შემავალი საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან მოქალაქე თენგიზ ხელაიას მიერ სალეგალიზაციოდ წარმოდგენილი ობიექტი არ არის კაპიტალური ნაგებობა და არის ცხაურის ტიპის, მსუბუქი, ანაკრები, ლითონის კონსტრუქციებისგან აწყობილი, საძირკვლის არმქონე და არაკაპიტალური სათავსი, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თენგიზ ხელაიას განცხადება და მოახდინოს ქ. ბახტრიონის ქ.N16-სა და წყალსადენის სადგურს შორის/ ქალაქი თბილის, ქუჩა ბახტრიონი, N16-ის მიმდებარედ #01.10.17.004.115 მიწის ნაკვეთზე სხვა ფუნქციის შენობაზე უნებართვო მიშენების ლეგალიზება .

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

____ არ დაკამაყოფილდეს მოქალაქე თენგიზ ხელაიას განცხადება.

____ უარი ეთქვას მოქალაქე თენგიზ ხელაიას ქ. ბახტრიონის ქ.N16-სა და წყალსადენის სადგურს შორის/ ქალაქი თბილის, ქუჩა ბახტრიონი, N16-ის მიმდებარედ #01.10.17.004.115 მიწის ნაკვეთზე სხვა ფუნქციის შენობაზე უნებართვო მიშენების ლეგალიზებაზე .

-

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.